ხათუნა მჭედლიშვილი

გერმანული ენის კონსულტანტი
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასტერ-კლასი გერმანულ ენაში

„მოსწავლეთა გასააქტიურებელი და

ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდები“

კონფუციდან დაწყებული დღევანდელი კონსტრუქტივიზმით დამთავრებული ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სწავლის პროცესის წარმატება პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულია მოსწავლეთა აქტიურობაზე.

სწორედ მოსწავლეთა გააქტიურებას ემსახურება ეს მასტერ-კლასი და განკუთვნილია გერმანული ენის პედაგოგთათვის, რომლებსაც სურთ კიდევ უფრო მეტად შეუწყონ ხელი მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციის ამაღლებას, სასწავლო პროცესი გახადონ ქმედებაზე ორიენტირებული და ამასთანავე დააკმაყოფილონ სქემის მოთხოვნა და ჩაატარონ სამოდელო გაკვეთილები, რაშიც მათ ხელს შეუწყობს მასტერ-კლასის ფარგლებში წარმოდგენილი ნიმუშები (სამოდელო გაკვეთილები).

მასწავლებლებს საშუალება ექნებათ თავად იყვნენ აქტიურად ჩართულები, მოსწავლის და მასწავლებლის პერსპექტივიდან გააცნობიერონ და გაითავისონ კონკრეტული მაგალითები და მეთოდები, რათა უკეთ მოახდინონ მათი რეფლექსია და თავის მიზნობრივ ჯგუფზე მორგება.